ფასი 10.000 მ.

# ბახტრიონი

რედაქციის მისამართი: პუშკინის პასსაჟი ტელეფ. 8—04

განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 11 ორშაბათი 18 სექტემბერი № 11


## ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის

# დიდი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

| | |
|---|---|
| პირველი მოგება | 500 მილიონი |
| მეორე | 150 „ |
| მესამე | 50 „ |

ქართული ბონებით

| | |
|---|---|
| ბილეთი ღირს მხოლოდ | 100.000 მან. |
| კუპონი „ „ | 25.000 „ |

—ხვედრი მოგების მიღება 48 საათში.—

გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.

**მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200000000 მან.**

ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო კოოპერიტიულ და სხვა დაწესებულებებში

ლატარიის მომწყობი კომისი.

კრ. 419.



## სახელმწიფო საჯინიბო

15 ოკტომბრიდან საჯინიბოს ეზოში დიდუბეში

# დოღი

## და საჯირითო შეჯიბრებანი

მონაწილეობა შეუძლიან მიიღოს ყველა მსურველმა

**ჩაწერა სწარმოებს.** ჩაწერა და ცნობები დილის 9 ს. ნაშუადღების 3 საათამდის სახელმწიფო საჯინობის სამართველოში: ევანგულოვის ქუჩა, ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობაში (მიწად მოქმედების კომისარიატის ბინა).


# გაუქმებულია

დამატებითი მატარებლების №№ 17 და 18

## მსვლელობა ბორჯომამდის

სატდელი მატარებელი № 17 გასული 2 ენკენისთვეს

**თბილისიდან ბორჯომისკენ**

და მატ. № 18 ბორჯომიდან თბილისში გამოსული აღმოჩნდნენ მცირე მგზავრებიანნი, ამის გამო

**9 ენკენისთვიდგან დასახელებული მატარებლები ივლიან მხოლოდ თბილისსა და ხაშურ შუა,**

**შემდეგი ცხრილით:**

**თბილისიდან** მ. № 18 გავა შაბათობით 2 ს. 40 აწ., მცხეთიდან 3—49, გორიდან საღამოს 6 საათზედ ხაშურში ჩადის საღამოს $7^1/_2$ ს.

**ხაშურიდან** გამოდის ორშაბათობათ ღამის 2 ს. 14 წ.. მცხეთიდან 5 ს. 47 წ., თბილისში ჩამოდის დილის 6 ს. 40 წ.

ამ მატარებლების დანიშვნით ხაშურამდის, უქმდებიან ბორჯომ და ბორჯომ-პარკის შუა მსვლელი მატარებლები.

# ჩქარ მატარებელთა

## № 5 და 6-ის მარშრუტი

### კავკასიის რკ. გზების საოლქო სამმართ. განკარგულებით

ჩქარი მატარებელნი №№ 5 და 6, რომელნიც დადიოდნენ ბათომ-როსტოვ-პეტროგრადის შორის ხარკოვის ხაზით, 15 სექტემბრიდან ტფილისიდან და 17 სექტემბრიდან პეტროგრადიდან და როსტოვიდან ივლიან ახალი მარშრუტით: სამხრეთ-აღმოსავლეთის, რიაზან-ურალის და მოსკოვ-ყაზანის რკინის გზებზე კოზლოვ-რიაზანის და მოსკოვ-ყაზანის რკ. გზის ხაზეთ.

## დამატებითი მატარებლები

№ №. 17 და 18

## ბორჯომამდის

მატარებლები №№ 17 და 18, რომელნიც თბილისსა და ხაშურს შუა მოგზაურობენ შაბათობით, 2 სექტემბრიდან ეს მატარებლები ივლიან ბორჯომამდე და უკანასკნელიდან კი—კვირაობით.

თბილისიდან მატ. № 18 გავა დილ. 8 ს. და 35 წ., გორიდან 11 ს. და 47 წ., ხაშურიდან დღის 1 ს. და 25 წ., ჩავა ბორჯომში დღის 2 ს. და 55 წ. გამოვა ბორჯომიდან კვირაობით დღის 3 ს. და 55 წ., გორიდან—საღ. 7 ს. და 6 წ.. თბილისში მოვა საღ. 10 საათზე. 2 სექტემბრიდანვე ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს შუა იმოგზაურებს დამატებითი ორი მატარებელი მატ. №№ 17 და 18 მიმოსვლასთან შეთანხმებით. (—2—1)


## ს. ს. ს. რ.

კონტრსააგენტო

# ცენტროტრანსპორტა ს. მ. უ. ს.

აწარმოებს ოპერაციებს:

1. **გადატანა საქონლისა** ქალაქში სადგურიდან და სადგურზე თავის' საბარგო ავტომობილებით და დროგებით.
2. **მიღება და გაგზავნა საქონლისა** საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის რ. ს. ფ. ს. რ. რკინის გზაზე და საზღვარ გარეთ კომისიონურ პირობებზე.
3. **შენახვა ყოველგვარ საქონლისა** და ტვირთისა თავის საწყობებში, ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში.
4. **მოლაპარაკების გამართვა რკინის გზის მართველობასთან** და სხვა დაწესებულებებთან საქონლის მიღების და გადაგზავნის შესახებ.
5. **ყოველგვარ დოკუმენტების მოწყობა** ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოში.

კონტრსააგენტო პასუხს აგებს თუ ვინიცობაა დაიკარგა,, დაიმტვრა, გაფუჭდა ან მოიპარეს მიღებული საქონელი გადატანის დროს. კონტრსააგენტო პასუხს აგებს საქონლის მიღების დროდგან დანიშნულებისამებრ ჩაბარებამდე. აგრეთვე პასუხს აგებს საქონლის შენახვისათვის და ვაგონების ზედ მეტ დროს გაჩერებისათვის.

მისამართი: მოედანი, ბერძენთა პასაჟი შუა სართული № 5. ტელეფონი 1 0—5 კონტორა ღია არის 9—5 საათამდე.

საკონტრაგენტო ,,ცტემო" აუწყებს საზოგადოებას, რომ კლიენტებისათვის საქმის გასაადვილებლად თავისუფლების მოედანზე ახლო მომავალში იქნება მოწყობილი საკონტრაგენტოს განყოფილება.

**საკონტრაგენტო ,,ცტემო."**


## მარჯანიშვილის თეატრი

მთავარი სახელოვნო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგა გრ. რობაქიძის თავმჯდომარეობით სექტემბრის 11-ს. ცნობილმა რეჟისორმა მარჯანიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება ახალი თეატრის შესახებ.

მოგვყავს შემოკლებით მთავარი ადგილები ხსენებულ მოხსენებიდან.

„მე ჩამოვედი ტფილისში დროებით. სამუდამოთ აქ დარჩენა და ვიწრო ფარგლებში მომწყვდევა არ შემიძლია. მე ახლა ახალ ძიებათა გზაზე ვარ. შეუძლებელია ხელოვნების ერთ წერტილზე გაყინვა. მით უმეტეს თეატრალურის. ჩემი ტფილისში მუშაობა იქნება ეპიზოდიური. აქედან მე ვფიქრობ ევროპაში წასვლას და იქ მუშაობას. მხოლოდ ტფილისში ყოფნის დროს მინდა ინტენსიური მუშაობის გაჩაღება, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანო ადგილობრივ თეატრალურ ხელოვნებას. მე მინდა საძირკველი ჩავუყარო ახალი მიღწევათა ძიებას, ახალ თეატრს. შემდეგში მუშაობა გაგრძელდება ინერციით და სიყვარულით.

მე მზათა ვარ მთელი ჩემი ცოდნა და გამოცდილება მივცე ადგილობრივ თეატრს. დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ ადგილობრივ სტუდიაში, თუ არსებობს ასეთი. თუ არ არ არსებობს შემიძლია დაარსება და ხელმძღვანელობა.

მხოლოდ ერთი პირობა უნდა იქნეს დაცული. სტუდიას არ შეიძლება ექნეს ვიწრო ეროვნული ხასიათი. ხელოვნება თავისი ხასიათით არის ინტერნაციონალური, საერთო და მისი ნაციონალურ ფარგლებში მომწყვდება შეუძლებელია.

უნდა აღვნიშნო გულახდით, რომ ქართული წარმოდგენის დადგმა ჩემთვის არ არის სასურველი ამ ჟამად. ეს მოითხოვს ძალიან დიდ და ხანგრძლივ მუშაობას. მაგრამ თუ თქვენი სურვილი იქნება მე შემიძლია დავდგა 3 წარმოდგენა. მეტი შეუძლებელია.

ეს არის ყველაფერი რისი მოცემაც შემიძლია მე.

ახლა რას მოვითხოვ. მე უკვე აღვნიშნე რომ ვიმყოფები ახალ მიღწევათა ძიების გზაზე. დაკვირვებამ ერთ სამწუხარო დასკვნამდე მიმიყვანა. ხელოვნება დაიყო, დაიშალა, დაქუცმაცდა. აღარ არის ძლიერი, მონუმენტალური და მთლიანი ხაზები. არის უეჭველად დიდი კრიზისი.

და უფრო გარკვევით იგი თეატრს ემჩნევა. სასცენო ხელოვნება უკვე თავის თავად სინთეტიური ხასიათის არის.

აქ უკვე მოცემულია ყველაფერი და ყველაზე უფრო მოითხოვს მთლიანობას, კავშირს უშუალოს.

დიფერენციაცია აბსურდამდე დავიდა. მომღერალი თავის ვიწრო პროფესიის რკალში ვარჯიშობს მხოლოდ. მან აღარ იცის თამაში· არტისმა არ იცის სიმღერა: მოცეკვავემ კი არც თამაში და არც სიმღერა.

ეს არის მიზეზი თეატრის დაცემის, მისი კრიზისის.

არტისტში უნდა ხვდებოდეს ერთმა-

ნეთს ხელოვნების მრავალი ხაზი. არტისტმა უნდა იცოდეს თამაში, უნდა იცოდეს სიმღერა, უნდა იყვეს მოცეკვავე. თეატრი უნდა იყვეს განსახიერება სინთეტიური ხილვის.

ამჟამად სწარმოებს სასტიკი ბრძოლა შინაარსსა და ფორმის შორის. ფორმა თუ შინაარსი ხელოვნებაში? და შეიქმნა ორი უკიდურესობა. ტაიროვმა ბოლომდე აღიარა ფორმის პრიორიტეტი. მისი თეატრი ფორმალურია მხოლოდ. მეორე პოლიუსი არის სამხატვრო თეატრი. იგი გაიყინა ერთ წერტილზე და შინაარს მისცა უპირატესობა. იგი აღარ იწვის ახალი ფორმების ძიებით.

ჩემი აზრით ორივე გზა შემცდარია. ხელოვნება ფორმის და შინაარსის შედუღებაა. შეუძლებელია მათი დაშორება, დაცალკევება.

ასეთმა მდგომარეობამ მაიძულა ახალი გზების ძიება. ჩემი ყურადღება მიქცეულია სინთეტიურ თეატრის შექმნისაკენ. მხოლოდ სინთეტიურ თეატრს შეუძლია კრიზისის დაძლევა. ამისათვის კი საჭიროა ყოველ მხრივი მომზადებული მასალა.

ამჟამად უკვე მყავს 10 კარგათ მომზადებული ახალგაზრდა.

ვამზადებ პანტომიმას. ჩემი რეპერტუარი მრავალ მხრივია მათ შორის შემიძლია დავასახელო:

(პანტომიმები. ,,манящий свет'' „причуды юности" „Нойа" დრამები: სალომეია, ელექტრა, და სხვა. აგრეთვე შეტანილია ოპერები.

ამ რეპერტუარით შესაძლებელია სეზონის ჩატარება. აქ უკვე ყოფილა ახალი თეატრი, ძიება ეს არის რუსული ახალი სამხატვრო თეატრი. მე შემიძლია ამ თეატრთან მუშაობა, მხოლოდ ერთი პირობით. თუ იგი ჩემ განკარგულებაში გადმოვა, თუ მხატვრული გეგემონია ჩემ ხელში იქნება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა გამოცვლა რის შემდეგ მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა დაადასტურა მარჯანიშვილისა და რუსული სამხატვრო თეატრის კოლეგიის შორის მომხდარი შეთანხმება

შეთანხმების ძალით ბ-ნ მარჯანიშვილს სამხატვრო საქმეებში ეძლევა სრული კარტ ბლანში.

ამრიგად ტფილისს საშუალება ეძლევა მარჯანიშვილის ახალი თეატრის, ახლო სათეატრო-მიღწევების უშუალო ხილვისა.

პარალელი მხოლოდ, დ. კლდიაშვილი და ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი პირველი იმერეთის ფანტასმაგორიის დირიჟორი, რომელიც მარიონეტებივით ათამაშებს დეგენერატიულ თავად აზნაურობას და მეორე ამერეთის ყოფის მესაიდუმლე, რომელიც ჭინკის მოხერხებით ხსნის სინამდვილის ნასკვს და ნერვიული ხელით სწურავს მის ძარღვებს. განსხვავება ერთია: ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი მეტყველებს რომანით. უკანასკნელის არქიტექტონიკა შეგნობილია ბოლომდე და სიმეტრია დაცული სისასტიკით. აქ ყოველი თქმა, გამოცხადება პერსონაჟის და ჟესტი მისი ავტორის მიერ მატემატიკური სისწორით არის განზომილი.

ქართულმა სინამდვილემ გრიმასებით გვიჩვენა სახე უმეტესად. ეროვნულ ნიჰილიზმის ფონზე დაიშალა პიროვნება და მისი კულტი. აქაც მხოლოდ უკვე ანეკდოტური ფორმულა თუ მოდგება: „არც აქეთ, არც იქით". სახე ქართული ფსიქოლოგიის, ინტელექტის, და ასოციაციების მთლიანობით დაიკარგა ჩრდილოეთის ნისლებში· ამის თქმა ტრუიზმია უკვე დღეს ამიტომ არის რომ ქართულმა პროზამ ბოლომდე გააშიშვლა სინამდვილე და მის სიღრმეში ნახა უმთავრესად ერთი ტიპი უარყოფითი.

ანასტასია ერისთავ ხოშტარიას მიერ გამოყვანილი პერსონაჟებიც ამავე გალერეიდან მოდიან და აქედან მომდინარეობს ავტორის შეგნებული თქმაც: „მერწმუნეთ ამ სოფლად ღირსი არავინ არის, რომ მისთვის შეწუხდეს კაცი". ეს სიტყვები მგლოვიარე დროშებივით ფრიალებენ ქართული სინამდვილის მეწამულ გორიზონტზე, რადგანაც ისინი არ არიან წარმოთქმულნი აფექტის ქვეშ, არამედ ლოღიკური შედეგია მთელი სურათის. აქ ლაპარაკობს არა რეფლექსი არამედ ინტელექტი, რომელიც უკანასკნელ ანალიზში ატარებს ყოველ მოვლენას.

მაგრამ წრე მოწამლული ირღვევა და გაიელვებს შორეული მოჩვენება აღდგენის. დაქცეულ კერის სიმწუხარეში იშლება სერაფიმის სახე, რომელიც არის იმედი და რწმენა მომავლის. ავტორმა შესძლო მაღალის ჩანასახის მოძებნა, და ამ დაგრეხილ სინამდვილის მოღუნვაში არის მისი სიდიადე სულის და მორალური გამართლება ქართული ყოფის. ციცო სავსე მადლონას სინაზით და თავგანწირვით დაძლევაა გრიმასების დი პრელიუდია დაშლილი ორგანიზმის გამთელების ხილვის. ავტორს საოცარი ხერხით და სულში ჩაწვდომით ყავს გაცხოველებული ეს ტიპი და ამასთანავე იდეალისტური არშიით მოვლებული. ამიტომ მკითხველში იწვევს დაფარულ სიმპატიებს და თანახმიერ ცემას გულისას.

ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი დაჯილდოებულია პროზის შემოქმედების ერთი მთავარ ღირსებით: სიუჟეტის მხატვრული გაშლით. არის მრავალ მხრივი დენა სიუჟეტის ტემპის: წრის მოვლა, სვლა სპირალით, და ასვლა საფეხურით. ანასტასიას უკანასკნელი მეთოდი აქვს მომარჯვებული და ეფექტიც სრული გამოდის. იგი არ ადის უკანასკნელ საფეხურზე რომ მკითხველს მთელი იდუმალება მოტეხილ მოვლენის გაუხსნას. ეს არის ხერხი გამართლებული მხატვრულად. აღსანიშნავია მოთხრობა ,,ეკლესიის გარშემო'', რომელშიაც უთუოდ დიდი ხელოვანის სულია დატრიალებული, აქ მოცემულია ახალი წრე სინამდვილის, კლერიკალურ საქართველოს გახრწნის და გადაგვარების. დაწერილია უტყუარი ტემპერამენტით და ენერგიით, რაც თავისთავად პირველი გამარჯვებაა მხატვარ მწერალის. ტანის სიმაგრით და გამძლეობით იგი გაუსწორდება მეღებულ ნიმუშებს უცხო ლიტერატურაშიც. აქ ყოველი მოჩვენება სინამდვილის სულის ტკივილამდეა განცდილი და მოთხრობა ბოლოში უკვე გადადის ფანტასტიურ ხილვაში: ღვდელი ძოსები, გაშლილი თმებით, გიჟი და ქარში, სამრეკლოზე, ზარების განუწყვეტელი რეკვით, ცხოვრების ტრაგიალ შეგნების ცხოველი პამფლია. ყოველ კომიკურში მოსჩანს ცხოვრების ტრაგიული წვეთები: საჭიროა მხოლოდ სხვა თვალი და მახვილობა ხელოვანის.

ანასტასია ერისთავ ხოშტარიას აქვს ეს მახვილობა დაკვირვების ჭკუის და მჭრელი თვალი.

ანასტასია 30 წელია უკვე რაც ახალისებს მშობლიურ ლიტერატურას.

მწერალთა კავშირების დანიშნულებაა შესაფერისად აღნიშნოს მისი ლიტერატურული მოღვაწეობა 30 წლის თავზე.

**არიელი.**

## ანატოლ ფრანსის წერილი ფრანგებს

ომის სული ომის შემდეგაც გრძელდება.

ქვეყანა გაჟღენთილია ამ სულით და იგი ყოველს მის მოქმედებაში მჟღავნდება. ჩვენი დიპლომატიური ხერხები 1918 წლიდან არ შეცვლილა. „კარის" საიდუმლოებანი დღემდე ინახავენ თავიანთ ძალას. ჩვენი საგარეო პოლიტიკა და ყველაფერი ეს, მოცულია დიდი ნისლით ისე, როგორც არადროს.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. მთელი ქვეყანა მორჩილებით მიჰყვება ამ გზას, რომელზედაც მიჰყავთ და არავითარს ეჭვშიც არ შედის.

დიდი გაზეთები, ამ ჟამად, როგორც მაშინ, როცა ჩვენი მამულის ნაწილი მტრისაგან იყო დაჭერილი, მიმართავენ სამინისტროებს ცნობებისთვის და ითმენენ წინასწარ ცენზურას. უჭკუო სენატი ნებას აძლევს მთავრობას, გაატაროს თავისი პოლიტიკა, მოკლებული სიმტკიცეს და მიმართულებას. და რა სუსტია ხანდახან ეს პოლიტიკა ძალის! ჩვენ დავინახეთ საშინელი უძლურება ჩვენი მთავრობისა, როცა იგი იბრძოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. რა სიბეცეა, რა უგუნურება!

ვერაფერი ძალა ვერ შეაფერხებს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას. ჩვენმა ბრწყინვალე გამარჯვებათა დრომ გაიარა. ომმა გამოფიტა ევროპა! მხოლოდ ცალკე პირებმა მოაწყეს თავისი კეთილდღეობა სახელმწიფოთა ნანგრევებზე. მაგრამ მათ ეხლა იტაცებს სრული განადგურების უფსკრული, და ძალაუნებურად გიხდება იფიქრო, ხომ არ არიან მართლები ჩვენი მეგობრები სოციალისტები და კომუნისტები, როცა წინასწარმეტყველებენ კაპიტალისტურ წყობილების დამხობას.

ისტორიამ ხომ უკვე გვაჩვენა, რომ ბრძოლებს აღარ შეუძლიათ ასეთი ცვალებადობათა მოხდენა დღემდის ჩვენ ერ მივახწიეთ ზავს. მართალია, ეს ძნელია, მაგრამ კი ძალიან საჭიროა.

ჩვენ რასაკვირველია უნდა მოვითხოვოთ და მივაღწიოთ კიდევაც რეპერაციას. ეს სამართლიანობაა. მაგრამ არ შეიძლება მოსთხოვო ერთს სახელმწიფოს იმდენი, რამდენსაც მთელი სახელმწიფოები ვერ მოგვცემენ. გინდაც რო მათ თავისი სიმდიდრე მისცენ. მე არ ვეუბნები ჩემს თანამემამულეებს: არ უნდა გშურდეს, დაივიწყეთ."

მე კარგად ვიცი ადამიანის სუსტი ბუნება, რო მოვმართო ესეთი უსარგებლო მოწოდებით. მაგრამ მე· ვამბობ: „იყავით გონიერნი, იყავით მშვიდობის მყოფელნი, ნუღარ შექმნით ისევ ტლანქი ძალის სამეფოს, რომელიც ანადგურებს, იმას, ვინც იგი მოიგონა და იმასაც, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული.

ფრანგებო, ნუ ოცნებობთ ამ ხანად შეუძლებელ გეგემონიაზე, წყალსა თუ ხმელეთზე! ნუ ოცნებობთ გამარჯვებებსა და დაპყრობაზედ. ინგლისის ხვედრი სრულიად არ არის საშურო

იყავით ზომიერები, აქ საქმე ჩვენ არსებობაზეა. შეამცირეთ ჯარების რიცხვი, შეამცირეთ ვადა სამხედრო სამსახურისა, ძალიან საჭიროა შემცირება ამ უზარმაზარის და სასარგებლო ხარჯებისა. საერთო ნგრევაში, საფრანგეთმა თითქმის შეინარჩუნა, უკეთესი მდგომარეობა. ჩვენ არ გვაქვს ასეთი უმუშევრობა, როგორც ინგლისში. ჩვენი წვრილი ბურჟუაზია, მართალია მეტად უძწეოა, მაგრამ მან კიდევ შეინარჩუნა ომის დროს მოგებულ მითიური სიმდიდრის ნაწილი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება უკვალოდ გაჰქრეს. დღეს კიდევ ასატანია, მაგრამ რა იქნება ხვალ? სიღატაკე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ დღეს, შეუბრალებლად გვიკაკუნებს კარს.

იგი სისწრაფით ვრცელდება, იჭერს თანდათანობით უფრო ვრცელ ტერიტორიას, იგი გვიახლოვდება და გვემუქრება გასრესით რომ ჩვენ მას ბოლო მოუღოთ, გვაქვს მხოლოთ ერთი იარაღი—ზავი.

თუ ჩვენთვის ძვირფასია გზა დიდების, თუ ჩვენ ვცდილობთ ვიყვეთ პირველი ნაცია ზავში, დაე წინ წავიწიოთ ჩვენი გონებით, სიბრძნით, სრული გაგებით იმისა, რაც ჭეშმარიტად ჩვენთვის საჭიროა. მოვიგონოთ გიოტეს მშვენიერი სიტყვე ბი და ვიყენეთ ჭეშმარიტი ევროპიელები.

(Nation)

## დილის მინდორი

არა ვარ თვალუწვდენელი და, მაინც დიდს მეძახიან. დილომიხ წინ სუფრად გადავშლილვარ. ჯაგარ აყრილი იალონი და იალონის მართვები, ლილოები რომ მიჰკედლებიან, კარგა მხედვენ.

·მზე რომ იმალება, იქ დიდგორი ამოზიდულა და ლამის არის თვალით დამლიოს. მიმზერს შეყვარებული, ჩემი მშვენებით გატაცებული და ალტყინებისაგან ფერსა ცვლილობს. ვნება აშლილი ქარით მკოცნის, ვნებადამცხრალი ნიავითა.

ჩემი რაინდია, ჯავშნით მოსილი. გამოუშვერია მჯდომარეს კუნთებსავსე გრძელი მკლავები და მარჯვენათი მეტიჩარა დილმურას კლდეებზე გვერდებს ურეხვავს, მარცხენათი მტკვარს ერკინება-

ჩემთან ყოფნა ჰსურს და ვერ დაძრულა: ბედს სათოვლის ქედის კალთებთან მიუჯაჭვნია ჩაფხუტმოხდილი ხან ცას სთხოვს შველას და ხან ბრაზმორეული ტირის და ცრემლის ღვარები ალოტისა და მილის ხევად მოისწრაფიან ჩემ მკერდზედა.

— დიდგორო! დიდგორო! ქვედატანი ღვთის ამარა მაქვს მიტოვებული. ვერა სწვდებიან შენი მკლავები და ვერც როდისმე მისწვდებიან.

— მტკვარი ხან ფეხს მიკოცნის, მილოლიავებს, მეალერსება, ჩემი დედოფალი ხარ, ღუღუნით მიმღერს, ხან კი ვნებით აღსავსე, გახელებული, მიტევს მიშტიალებს, მაწვება და ხან სად დამაფხრეწს ხოლმე კალთებსა და ხან სადა... იცით, რას მისაყვედურებს? დიდგორი რათ გიყვარსო!... ჩემი გულისთვის დედა მიწის გულიდან ამოჭრილა და მიყვარს.

—მტკვარო, ნუ ანჩხლობ ხოლმე! არც შენა მყევხარ მოძულებული. ღმერთმა ხომ უწყის, რომ შენც გაქვს ჩემ გულში ერთი ადგილი. შენი მოტანილი შორეული ამბები დარდს მიქარვებენ და ტკივილებს მიყუჩებენ... რა თვალები აგემღვრა? არ გესიამოვნა ჩემი ლაპარაკი?... ერთი ამას უყურეთ, როგორ აილეწა! კიდევ ატყდა... რა გემართება, მტკვარო! დამეტაკა! დამეტაკა!..

წმინდა გიორგო დიდგორისაო, მოარჯულე ეს გადარეული! დილომი ჩემით საზრდოობს... ვიჰ! დილომო! დიდგორის მარჯვენაზე რომ მოგიკალათნია, შენ მაინც შემავედრე შენს ძლიერ სალოცავს, თორემ სიმწარისაგან რძე გამიშრება და ცარიელზე დარჩები!... წმინდა გიორგო დილმისა, ზეგარდისაო, დარაჯებად რომ გადმომდგარხართ დიდგორის მკლავებზე, ჩემ მარჯვნივ და მარცხნივ! შენც თეთრო გიორგო, შენც, დიდგორის მარჯვენას რომ გადმოსცქერი გაღმა გვერდიდან! შენი თვალი ხომ მეცა მწვდება?... დააშოშმინეთ ეს დამთხვეული! ჰკარით მახვილი მკტვრის წამქეზებელს ვეშაპსა.

—რით ვერ გაიგე, მტკვარო, რომ გულს ვერ შემიცვლი. ჩემმა არსებამ ყველა უნდა დაიტიოს ვინცკი თვალს მომტაცებს. აბა, რატომ დიდგორო არ ღიზიანდება, როცა შენ გიგდებ ყურსა ან ჩემ ზღაპრებს როცა გადმოქცემ. რატომ არ ჯავრობს ან ზურმუხტა რაინდი, ზაფხულობით რომ სარტყელ-გულისპირს და კალთებს ყვითლად მიქარგავს, ან ის რაინდი, შემოდგომისას რომ ლალისებურით მაზიარებს ხოლმე, ან კიდევ რაინდი, თეთრწვეროსანი, თეთრს, ფარჩის საბანს რომ მაფარებს მე ფეხთმძიმესა ზამთარში.

—ჰეი! მტკვარო! პატივს მოვითხოვ შენგან მოწიწებასა! ჩემი გულისთვის ამირან გმირი მდევს შეება. აქნობამდესაც კი მაჩნია ბრძოლის კვალი, კლდე ჩადრეკილი, დევის ნამუხლად წოდებული. მე ვარ თანამოზიარე ქართლოსიანთა წალმართობისა: ჩემ მკერდზე იყო რომ აზოს ბედს მახვილი ჩასცა ფარნავაზმა. ირმის სისხლი ვერ გადარეცხა დროთა სრბოლამ და ქვაბის დირემდე დღესაც გასდევს წითელი კვალი, ამას მოწმობენ დიდგორის მარჯვენის კიდურები, თხელიგორები.

**ირრადიონ სოხლული.**

## ანასტასია ერისთავ ხოშტარია

ქართულ ლიტერატურას უთუოდ სჭირდება რევიზია მოუდგომელი და ფაქტების სწორი დაწყობა. აგრეთვე აუცილებელია ლიტერატურულ სახელების გადარჩევა და მათი სისტემაში მოყვანა. რა თქმა უნდა ეს იქნება ქირურგიულ ოპერაციის ხასიათის და მტკივან ადგილების ამპუტაციით დასრულებული.

არის ავტორი თავის თავად მეტყველი და სახელით დაჯილდოვებული. აქ შეიძლება იმდენად ავტორის ლიტერატურულ წონას არ ჰქონდეს მნიშვნელობა, როგორც მის ვინაობას, ალღოს და მისვლას „წრეებთან". მაგრამ ხომ არიან სახელები დავიწყებულნი და მიკარგულნი ნისლში, რომელთაც მხოლოდ შორეული პერსპექტივა გამოიყვანს.

მოხუცი ანასტასია, ჭაღარა, კეთილშობილი გამოხედვით, უკანასკნელთა რიცხვს. ეკუთვნის მისი ლიტერატურული ბაგაჟი საკმაო სიმძიმისაა, რომ ვერ იგრძნოს ქართველმა მკითხველმა. მაგრამ არის ამ პიროვნებაში რაღაც გარდუვალი, მოკრძალება, რომელიც ხელს უშლის ოფიციალურ კრიტიკის თვალში გახდეს მისაღები სრულიად, თუმცა ბევრს სრულიად დაუმსახურებლად მიღებული აქვს ასეთი ტიტული.

ლიტერატურის პატივისცემა და სიწმინდე ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას ანასტასიას მიმართ, რომელიც შემდეგში აღიარებულ სახელებთან ბრალდებათ, ბევრს თავის ადგილს მიუჩენს.

ისმის მუდამ ერთი წყეული საყვედური: ქართულმა ყოფამ ვერ შექმნა შესაძლებლობა ქართული რომანის წარმოშობის, რომელშიაც დატრიალებული იქნება ნაცნობი სახეები და მოცემული ეროვნული ცხოვრების ტემპი ღია თუ შეკრული ფერებით.

თქმას არ აქვს სრული გამართლება: ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი ერთად ერთი მწერალია, რომელმაც გამართა ქართული რომანი, არა ბულვარული გაგებით, არამედ როგორც სინთეტიური ფორმა ლიტერატურის, და შეიძლება ითქვას მისი მანერა კოლიზიების შექმნის და ტიპების მოცემის მაღლობამდე ადის. „მოლიპულ გზაზე" „ბედის ტრიალი" და განსაკუთრებით „ეკლესიის გარშემო" უთუოდ მწერალის მაღალი შთაგონების და დაკვირვების ნიჭის სამუდამო ბეჭედია. ამ მხრივ არის ერთი

## ნიკო ფიროსმანი

ფიროსმანი აღმოაჩინეს მხატ. ლე-დანტიუმ და ძმ. ზდანევიჩებმა. მისი სახელის გარშემო მხატვართა წრეებში ლაპარაკი ატყდა. ბევრმა დაიწყო მისი სურათების ძებნა ქალაქს გარეთ, სადაც სარდაფებსა და დუქნებში მუშაობდა უარყოფილი მხატვარი. სხვათა შორის ფიროსმანაშვილის საკითხი აღიძრა ქართ. მხატვართა საზოგადოებაში. მაგრამ პირადათ მას თითქმის არავინ იცნობდა. არავის ენახა არ იცოდენ სად სცხოვრობდა და ერთ კრებაზე გადაწყდა რომ ფიროსმანი ამოეყვანათ სარდაფთა წიაღიდან. ამორჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიც შედიოდენ მხატ. შავარდნაძე, მ. თოიძე და მე. ჩვენ· მოგვენდო მოგვეძებნა ფიროსმანაშვილი და მისი ცხოვრების შესახებ გაგვეგო რამე.

მალე ჩვენ შეუდექით ძებნას და ვიპოვეთ კიდეც დიდუბეში. პატარა ოთახში კიბის ქვეშ.

ის იყო მაღალი ტანის, შეჭაღარავებული და უკან გადავარცხნილი შავი თმებით. მის მკრთალს, მოტეხილს სახეს თან ასდევდა იერი რაღაც კულტურულ სირბილის და სიწყნარის. წვერი ჰქონდა მოკრეჭილი და ულვაშები ქვეით დაშვებული. ეცვა ნაცრისფერი პიჯაკი, სქელი ჭუჭყიანი და საღებავებით მოთხვრილი შარვალი; ერთი სიტყვით ჩვენს თვალწინ იდგა ულარიბეს უბნის მცხოვრები, გატეხილი და დაბეჩავებული ბოსიაკური და ლოთური ცხოვრებით.

მახსოვს, ერთხელ შევიყვანეთ მხატვართა საზ.-ბის კრებაზე. გულზე ხელებ დაჯვარედინებული იჯდა და გაყინული, გაქვავებული ერთს წერტილს მისჩერებოდა. მისი სახე გამოსახავდა ფარულ სიხარულს და დიდს გაკვირებას. ასე იჯდა ის მთელი სხდომის განმავლობაში და ხმა არ ამოუღია. სხდომის გათავების შემდეგ, მას შემოეხვივნენ მხატვრები და დაუწყეს გამოკითხვა. პასუხს იძლეოდა მოკლედ. ლაპარაკობდა ცოტას. დაინტერესდა ორატორებით, რომელმაც სხდომა უკანასკნელი სიტყვით დაასრულა (გიორგი დ. ჟურული.) —ჰო, ეს ძალიან კარგად ლაპარაკობდა, ძალიან კარგად და მართალსაც ამბობდა.

—ჰო, აირა გვინდა ძმებო, იცით, განაგრძობდა ნიკო უსათუოდ საჭიროა ავაშენოთ დიდი ხის სახლი სადმე, ქალაქის შუაგულში, რომ ყველასათვის იყოს ახლო. ავაშენოთ დიდი სახლი, რო შევიყარნეთ ხოლმე. ვიყიდოთ დიდი სტოლი და სამოვარი. ვსვათ ჩაი, ბევრი ვსვათ და ვილაპარაკოთ მხატვრობაზე, ხელოვნებაზე. თქვენ კი ეს არ გინდათ. თქვენ სულ სხვას ლაპარაკობთ, ამბობდა იგი წყნარათ და ჩუმად.

შემდეგ სხდომაზე ფიროსმანიშვილი არ გამოცხადებულა. სცხოვრობდა როგორც ვიცით სადღაც დიდუბეში. მაგრამ ველარავინ შეჰხვდა! გაირა წელწადმა. ფიროსმანიშვილი გაჰქრა და მის შესახებ არაფერი ისმოდა.

მხატვართა საზოგადოების ერთ ერთ სხდომაზე გამოტანილი იყო დადგენილება აღმოეჩინათ ხელვიწრო წევრებისათვის მატერიალური დახმარება. გადაწყდა ფიროსმანიშვილისთვის დახმარება 200 მანეთის სახით. ფულის გადაცემა მომანდეს მე. მივიღე ფული და დავიწყე ფიროხმანიშვილის ძებნა. დაახლოვებით ვიცოდი თუ სად ცხოვრობდა ის იმ დროს. შეკითხვებით მივაგენი ბინასაც შევედი ეზოში.

—სად ცხოვრობს აქ „მხატვარი„ ფიროსმანიშვილი;—ვეკითხები ეზოში მოთამაშე ბავშებს. მიჩვენებენ კიბის ქვეშ მოქცეულ სარდაფს. დავაკაკუნე, თითონ ნიკო გამოჩნდა.

—ვინ გნებავთ,-მეკითხება —ბატონი ფიროსმანიშვილი.

—მე ვარ, გთხოვთ... გაალო კარები.

—დავიღუნე და შევედი. უეცრად შემაჩერა და მკითხა: როგორ მოხველით: როგორც მტერი თუ როგორც მოყვარე. და მიყურებს არაჩვეულებრივი თვალებით. ხომ არ გაგიჟდა,—გავიფიქრე გულში.—არა, უპასუხებ. თქვენც მხატვარი ხართ და მეც. რა მტერი უნდა ვიყო მე თქვენი. მე გუდიაშვილი ვარ-არ გახსოვთ? —დიახ, დიახ, დიახ-დაიწყო მან თითქოს ცახცახით —გთხოვთ მობრძანდეთ, გთხოვთ. ლადო, ლადო,-არა?

—დიახ, ლადო.

—დაბრძანდით ძმობილო, დაბრძანდით, აი ასე, აი ეს არის ჩემი ოთახი როგორც ხედავთ. ო, რომელია თქვენი სახელი? ლადო, დიახ ლადო! შეიძლება წყალი დალიოთ? დაასხა და მომიტანა წყალი ჭიქით.- ბოდიშს ვიხდი, რომ ლიმონაჟი არა მაქვს. მე უკვე მოვასწარი მისი ოთახის დათვალიერება. იგი კიბის ქვეშ იყო მოთავსებული. პატარა, რამოდენიმე ნაბიჯი სიგრძით და სიგანით. დგომა შეუძლებელი იყო. კუთხეში იდგა ლოგინი წვირიან ქვეშაგებით.

—კედელზე პატარა კოლოფი იყო მოკრული ეს იყო მისი შკაფი. მეორე კუთხეში დაყრილი სხვა და სხვა ხელსაწყო მღებარის და მხატვარის: ვედრო, კლიონკა, საღებავები, ფუნჯები და სხვა.

—თქვენ იცნობთ ძმებს ზდანევიჩებს? მკითხა მან უეცრად. მათ ბევრი სურათები აქვთ ჩემი. მე ბევრს ვმუშაობდი. იცით, ტფილისის სარდაფები ჩემით არის მოხატული. ამით ვცხოვრობ. შეიძლება თქვენ მიირთვათ რამე? იქნება პური? აი, გთხოვთ-და გამოიღო „შკაფიდან“ ხმელი პურის ნაჭერი. მე მადლობელი დავრჩი და უარი უთხარი. ასე, ასე ჩემო ძმობილო, ძვირფასო ლადო. როგორ გეძახიან თქვენ? ლადო არა,-ჰო, ლადო. გაჩერდა ჩაფიქრდა. უეცრად აიჭრა. დაიწყო რიღაცის ძებნა კუთხეში. მონახა გაქონილი, წვირიანი ქაღალდი.-ხედავთ? გაშალა „სახალხო ფურცელის“ ნომერი სადაც მისი სურათი იყო მოთავსებული. აი ჩემი პორტრეტი. მე გადამიღო ვიღაც გოგოლაშვილმა და შემდეგ გაზეთში მოათავსა. მე უთხარი, რომ სურათი ნახული მქონდა. ეხლა რაზე მუშაობთ თქვენ — ვეკითხები.

—არაფერს არ ვაკეთებ. ვასრულებ მხოლოდ შენაკვეთს რესტორანებში. ვიღაც ძიძიშვილმა მომატყუა ამას წინად. მითხრა. მომიხატე რესტორანი, მაგრამ ჯერ მაჩვენე შენი სურათებიო.

ვაჩვენე. არაო, მეუბნება, შენ გამიფუჭებ რესტორანსო. მეც სიღარიბეში ვცხოვრობ ესე. ხან მატყუებენ და ვინ მაძლევენ ფულს.

ამოვიღე ფული და გადავეცი. ისიც უთხარი თუ ვისგან იყო.

შეჩერდა და გაოცებული გააქვავა ალარ შეეძლო ლაპარაკი. არ იცოდა, როგორ გადაეხადა მადლობა. ცოტა არის, უთხარი მაგრამ როგორმე იოლას გადი. ამ ფულით შეიძლება პატარა ხნით ცხოვრება. იყიდეთ საღებავები.

ავდექი. მოვემზადე წამოსასვლელად. რა არის ეს კუთხეში?-ვეკითხები. საღებავები. ჩემო ძმაო მუშაობა ასე უნდა.თქვენ კი, კოსტიუმებში და გალუსტუკებში მუშაობთ და გოლოვინის პროსპექტზედაც დასეირნობთ. არა, ასე არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ეგრე. უნდა ჩაიცვა ძველი ფართუკი, აანთო ლამფა და მოაგროვო ჭვარტლი. უნდა დაფქვო ფეხით კირი და გააკეთო უმარილად აილო დიდი ფუნჯი და შეღებო კედლები თეთრი ან შავი ფერით. ძირიდან- ჭერამდე. ძმაო ლადო თქვენ ლადოს გეძახიან არა? ო. ასე, კარგია. ძლიერ კარგია. ჩვენ ვიდექით. მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ ახლა ჩვენ. უნდა ავაშენოთ სახლი თუ არა?

ავაშენოთ და შევიქრიბებნე იქ. ვიქნებით ერთად. თორემ რა არის ეხლა. დახატავ სურათს, წაიღებ სარდაფში გასმევს, დაგალევიებს მისი პატრონი და სურათს კი დაიტოვებს. და ასე ყოველთვის.

—რაზე მუშაობთ თქვენ ახლა?—არაფერს ისეთზე აი ეს არის რაღაც: მაჩვენა სურათები: „ლომი“ და „თამარ დედოფალი“ აქ ბავშვები მიშლიან ხელს. ყვირიან და ქვებს ისვრიან ფანჯრებში მაწვალებენ. მაშასადამე თქვენ მიდიხართ! წავიდეთ.

—იცით რა. სთქვა მან ჩუმათ წავიდეთ სარდაფში."დავლიოთ. მე უთხარი, რომ ღვინოს არ ვსვამ.- ლიმონათი მაინც დალიეთ. უარით უპასუხე. გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს ქუჩაში და დავბრუნდით სახლში.

მას აქეთ დიდი ხნით ველარ შევხვდი. ვეძებდი ვიყავი სახლშიაც, მაგრამ ვერ მივუსწარი. ვერ ვნახე ვერც სარდაფში.

გავიდა რამოდენიმე თვე უკანასკნელ შეხვედრის შემდეგ. თითქმის წელიწადი. ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ გადასდო დახმარება ღარიბ მხატვართა სასარგებლოდ. ფიროსმანიშვილისათვის გადმომცეს დაახლოვებით 300 მანეთი, წავედი ისევ მასთან. მაგრამ თავის ოთახიდან გადასულიყო. უკანასკნელში პატარა დუქანი იყო მოთავსებული და წინა ძველ მობინადრის შესახებ. არაფერი იცოდენ. რამოდენიმე ბავშვმა იკისრა ფიროსმანიაშვილის მოძებნა. გავყევი მათ· შემოვიარეთ დიდუბე. დიდხანს ალარ დაგვინახავსო -გვიპასუხებდენ შეკითხვებზე მედუქნეები და რესტორანის პატრონები. ვერაფერი გვითხრეს სამისამართო მაგიდაშიაც. მას აქეთ ფიროსმანიშვილი სამუდამოდ მიიკარგა.

ნიკომ თავისი წუთისოფელი სადღაც დიდუბის მიგდებულ ადგილებში დალია, მაგრამ როდის მოკვდა, რა პირობებში, ვინ დამარხა ეს არავინ იცის.

გადმოგვცემენ, რომ იგი კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალულიო. მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის და ფიროსმანიშვილის საფლავი ჯერ კიდევ უნახავია.

**ლადო გუდიაშვილი**

# ოქროს ჭრელი არწივი

ოქროს ჭრელი არწივი, შავი რკინის ფრჩხალებით.
დამცხრალ მთვარის წარბებით, იგი ნისკარტ-ნამგალა,—
ზის კლდენადულ ციცაბზე, იწვის მსხვილი თვალებით,
ყივის... მღერის: მზისა ვარ! ყიავ-ყიავ-განგალა!

გული თეთრი ზღვის ქაფზე, ყელი გველი, აღმართი,
წყალში ეტრფის თვის სახეს და სულშია წარმართი.
თავს გვირგვინი ადგია ძვლებისაგან ნახლართი.
მისთვის მისაწვდომია საიდუმლოდ ნამართი.

აშრიალებს ოქროს ფრთას, ძიებისთვის მოსულს ლოთს;
სამსხვერპლო აქვს ღრუბლებში, თავის თავზე ლოცულობს.
„განუსვენეს“ უყივის, ვინც ჭაობში დამპალა,
გზისკენ ჰაერს მიაპობს: ყრუ ხარ! ყრუ ხარ განგალა!

რისთვის მღერის არწივი მთებში მარტო განდგომით?
—მას აქ ტოლი არვინ ჰყავს, ჰხარობს ნების აღდგომით:
ამაყი და ზვიადი შეეჭრება მგოსნის სულს.
უმალ მოჰკლავს მონის სისხლს მცნებად მისცემს მინდა! მსურს!

გავაფრინე არწივი შავის რკინის ფრჩხალებით.
ძველი შრწამსი დალადრა, დასწვა ცეცხლის თვალებით.
მისი მწვეტი ნისკარტი სისხლით ჯერ არ დამბალა.
ყივის, მღერის: გარდიქმენ! ყრუხარ! მძულხარ განგალა!

მას არ ესმის შეზღუდვა გულის ნება-ზრახვისა.
ერთს განიცდის სიამეს, მძებნელია ახლისა.
უნდა თვითონ შეიტკბოს, არა სჯერა ნახვისა.
იგია და თვისი მე სრულყოფილი სახისა!

მას დაბლიდან სუსტები აგონებენ ზნეობას!
ქინაშლილი ნავარდობს უქმედ იდგენს მზეობას.
აფრინდება ლაჟვარდში და იქ ხოტბას მიაგებს
თვით უკვდავი უკვდავებს: მნათობებს და ციაგებს:

მკაცრია და ჯანსაღი და ფჩხილებით მანგანა!
ყივის: ყრუ ხარ: მარტო ვარ! მძულხარ! მინდა! განგალა!

1922 ქიზიყი **სანდრო შანშიაშვილი**

## არტურ ლეისტის იუბილე.

წელს უსრულდება 40 წელი რაც საქართველოში მოღვაწეობს გერმანელი მწერალი არტურ ლეისტი. არტურ ლეისტს ამ ხნის განმავლობაში დაუწერია აუარებელი წერილები საქართველოზე და აგრეთვე გამოშვებული აქვს წიგნებიც გერმანულ ენაზე. მას პირველს ეკუთვნის „ვეფხის ტყაოსანი“-ს თარგმანი გერმანულად, არტურ ლეისტს აქვს აგრეთვე თარგმანი ქართველი პოეტების უკანასკნელ ხანამდე, ეს ანტოლოგია ეხლა უფრო შევსებულია და გამოდის ახალ გამოცემათ ბერლინში. თუ ქართველ ხალხის ისტორიას და მწერლობას იცნობენ დღეს გერმანიაში ეს ბ. არტურ ლეისტის წყალობით. ამის გარდა არტურ ლეისტი მუშაობდა ყველა პერიოდულ გამოცემებში საქართველოში ამ ორმოცი წლის განმავლობაში, არტურ ლეისტი პირადი მეგობარი იყო ილია ჭავჭავაძის და ბევრ იმ დროინდელ ქართველ მწერლობის და აქვს შედგენილი დიდ ტანიანი „მემუარები“, სადაც ეს დაკვირვებული და განათლებული მწერალი თანდათანობით აღნიშნავს ქართულ მწერლობის განვითარებას და იძლევა უმთავრესს პირთა დახასიათებას. ის აგრეთვე რედაქტორობდა დიდხანს აქაურ კოლონიის გაზეთს, რომელშიაც აგრეთვე აუარებელი წერილებია საქართველოზე. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს გადაუწყვეტია მას გადაუხადოს 40 წლის იუბილე. ალბად ამ დღესასწაულს მიეცემა დიდი ზეიმის ხასიათი, რადგან საზოგადოების ყველა წრეებში არტურ ლეისტს დამსახურებელი აქვს დიდი პატივისცემა. ჩვენი რედაქცია იუბილეს წინა კვირას მოათავსებს სრულ დახასიათებას არტურ ლეისტის მოღვაწეობისას, დაბეჭდილი იქნება აგრეთვე მის თანამედროვეთა მოგონებანი და წერილები იუბილიარზე.

იუბილე დაახლოვებით განზრახულია ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

## ილია ჭავჭავაძის პანაშვიდი.

სამშაბათს 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკლვლელობიდან 15 წლის თავზე მამადავითზე გადახდილი იქნა პანაშვიდი გადაიხადა

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიორქმა ამროსიმ, ქალაქის სამღვდელოების თანხლებით. პანაშვიდის წინ კათალიკოსმა მგძნობიარე სიტყვით მიმიმართა საზოგადოებას. სიტყვაში აღნიშნული იყო დიდი დამსახურება ილია ჭავჭავაძის ერისა და ხალხის წინაშე და აგრეთვე მისი მოწამეობრივი სიკვდილი. სიტყვამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა პანაშვიდები აგრეთვე გადახდილ იქნა დიმიტრი ყიფიანის და აკაკი წერეთლის საფლავებზე, დამსწრეთ ამოიტანეს ყვავილები.

პანაშვიდს შედარებით ცოტა ხალხი დაესწრო, რადგან ბევრმა არ იცოდა თუ პანაშვიდი შესდგებოდა. დამსწრეთა შორის უმრავლესობა იყვენ მწერლები, მსახიობები, და აგრეთვე განსვენებულის ნათესავები.

# ლიტერატურული ქრონიკა

### არტურ ლეისტის იუბილე

ორშაბათს 18 სექტემბერს ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქუჩა № 13) დანიშნულია საგანგებო კრება სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის, რომელზედაც მოწვეული არიან წარმომადგენლები: მწერალთა კავშირების, მხატვართა, მსახიობთა მემუსიკეთა კავშირების სექციების, უნივერსიტეტის, წ. კ. საზოგადოების საისტორიო, საეტნოგრაფიო და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა. გერმანულ კოლონიის, გერმანიის საელჩოს. ქალთა კომიტეტის რედაქციების და სხვა კერძო პირები.

კრების საგანია ამორჩეულ იქნას საიუბილეო კომიტეტი არტურ ლეისტის 40 წლის საქართველოში მოღვაწეობის ასანიშნავად. კრება გაიხსნება სრულ 7 საათზე.

### ეკსკურსია ალავერდში.

საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტთან ხელოვანთა სასახლეში შესდგა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც სურს მოაწყოს ეკსკურსია კახეთში ალავერდის დღესასწაულზე. ამნაირი ეკსკურსიები ეწყობოდა თითქმის ყოველ წელს მწერალთა კავშირის საბჭოსაგან. წელს რადგან მსურველი ბევრია ამიტომ ჩაწერა მოხდება წინდაწინ, იქვე შეიძლება პირობების გაგება. ეკსკურსიაზე წამოვა რუსეთიდან ახლათ დაბრუნებული ცნობილი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

### ახალი სტუდია.

განათლების კომისარიატთან არსებულიმთავარი სახელოვნო კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან, რათა ამ სეზონში ტფილისში დაარსდეს დრამატიული სტუდია საერთო სახელმწიფო მაშტაბით. სტუდია უნდა იყოს მოწყობილი იმ გეგმით, რომლითაც მუშაობდა ამდენხან ბ. კ მარჯანიშვილი, როგორც შემქნელი სინტეტიურ თეატრის.

ქართულ სამხატვრო წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ საქმის დაწყებას.

### ბალეტმეისტერი ბალანჩივაძე.

პეტერბურგში ამ ჟამად დიდ ყურადღებას იწვევს ახალგაზდა ბალეტის არტისტი ბალანჩივაძე, შვილი ჩვენში ცნობილ კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძისა. რუსულ გაზეთების და კერძო პირთა გადმოცემით ეს ახალგაზდა მოწვეულია პრემიერად სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

### ი. ფალიაშვილი.

ახლო ხანში რუსეთიდან დაბრუნდება სახელმწიფო ოპერის გამგე ი. ფალიაშვილი. უკანასკნელი გაგზავნილი იყო მთავრობის მიერ ახალ საოპერო ძალების მოსაწვევად. თანახმად მიღებულ ცნობებისა ოპერა მომდინარე სეზონში სრულიად გადახალისებული იქნება რუსეთში ცნობილ მომღერლების მოწვევით.

### ოპერა „ღამის თევა“

კომპოზიტორმა ზაქ. ფალიაშვილმა დაასრულა ახალი ოპერა: ღამის თევა. ოპერა დაიდგმება მიმდინარე სეზონში.

### შალვა დადიანის იუბილეისთვის.

მთ. სახელოვნო კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე წლის დამლევს გამართული იქნეს შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილე.

### თამარ ვახვახიშვილი.

ქართულ სამუსიკო სასწავლებელის დირექტორმა თამარა ვახვახიშვილის ასულმა დასწერა ფორტოპიანოს კონცერტი, რომელსაც თვითონ შეასრულებს ერთ-ერთ სალამოზე შემოდგომის სეზონში. აგრეთვე დადგმული იქნება იმავე სეზონში მისივე ,,სპარსული პანტომიმა.

### მელიტონ ბალანჩივამე

კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ დასწერა ტრიო სერენადა: ტენორის, ვიოლონჩელის და ფორტოპიანისთვის.

### სამუსიკო სასწავლებლები.

სამტრედიაში და ოზურგეთში მომავალ წლიდან გაიხსნება სამუსიკო სასწავლებლები.

### ილიას ნაწერების გამოცემა

როგორც გადმოგვცეს, ბ. მიხეილ გედევანიშვილი რომელმაც გამოსცა ილიას თხზულებანი დიდ წიგნად, ამ ხუთი წლის წინად, იანვრიდან აპირებს შეუდგეს ილიას პუბლიცისტიკის და კერძო მიწერ—მოწერის გამოცემას მეორე ტომად.

### საქართველოს სიძველეთა რეევაკუაცია.

რუსეთიდან დაბრუნდენ საქართველოს სიძველეთა რეევაკუაციას კომისიის წევრები პროფ. კორნელი კეკელიძე და სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობის გამგე ვუკოლ ბერიძე. მოლაპარაკება სიძველეთა რეევაკუაციის შესახებ უკვე დამთავრებულია. მოკლე ხანში მოხდება თვით სიძველეთა გადმოტანა. ჯერ ჯერობით კომისიამ ჩამოიტანა „ვეფხის ტყაოსანის“ უძველესი ხელნაწერი, დროშა, გვირგვინი და სხვ.

შემდეგ ნომერში მოთავსებული იქნება მრცელი ცნობები სიძველეთა ჩამოტანის შესახებ.

## საზღვარ გარეთ

გ ე ო რ გ ბ რ ა ნ დ ე ს ი. გეორგ ბრანდესი ამ ჟამათ იმყოფება ბერლინში. მიუხედავად თავისი სიხნიერისა, ის მეტად ჯანსაღად გამოიყურება. მას აქვს მრავალი გეგმა და ამ ჟამად განსაკუთრებით ბევრს მუშაობს ლეონარდო-დავინჩიზე.

გ ა ბ რ ი ე ლ დ, ა ნ უ ნ ც ი ო კრიტიკა აღნიშნავს გაბრიელ დ, ანუნციოს ახალ წიგნს „ნოკტიურნ“ დაწერილს შავ ოთახში, რომელშიც მოთავსებული იყო თვით ანუნციო ჰაეროპლანზე ასვლის დროს გაფუჭებულ თვალის მოსარჩენათ წიგნში მოყვანილია მთელი რიგი ეპიზოდებისა ანუნციოს ცხოვრებიდან, აგრეთვე სამხედრო ეპიზოდები.

ა. კ რ უ ჩ ო ნ ი ხ ი გამომცემლობამ „მაფ“ გამოსცა რუსი ფუტურისტის ა. კრუჩონიხის წიგნები: ,,სიტყვის ფაქტურა“ ,,რევოლიუცია და ენა“

# თ ე ა ტ რ ი

### ქართული სახელმწიფო დასი

მთავარმა სახელოვნო კომიტეტმა აკადემიურ თეატრების მმართველ ალ. წუწუნავასთან ერთად შეიმუშავა საბოლოოდ ქართული სახელმწიფო დასის შემადგენლობა. არტისტები დაყოფილია სამ წყებად.

პირველი წყება მოწვეული იქნება წლიურად. მეორე: სეზონის განმავლობაში და მესამე წყებას კი შეადგენენ დამსახურებული მსახიობნი, რომლებიც მხოლოდ გასტროლებზე იქნებიან მოწვეულნი.

პირველ წყებაში შედიან: **ქალები:** 1) ჩხეიძე ნინო, 2) ქიქოძე ანეტა, 3) აბაშიძე ტასო, 4) დავითაშვილი ნინო, 5) ანჯაფარიძე ვერა, 5) ჯავახიშვილი ნატალია, 7) ქიქოძე ალისა, 8) დონაური ელენე, 9) ჭავჭავაძე თამარ, 10) შოთაძე ანნა, 11) ბეჟანიშვილი სუსანა, 12) ციმაკურიძე ელენე.

**კაცები.** 1) იმედაშვილი ალექსანდრე, 2) დავითაშვილი გიორგი, 3) ვასაძე აკაკი, 4) კორიშვილი პლატონ, 5) გამყრელიძე ვიქტორ, 6) ფრონისპირელი გიორგი, 7) სარაული მიხეილი, 8) გომელაური ზაქარია, 9)ხონელი შალვა, 15) ღამბაშიძე შალვა, 11) დადიანი შალვა, 12) ჩხეიძე უშანგი, 13) ციციშვილი ნიკოლოზ.

**სეზონით მოწვეულნი არიან: ქალები:** 1) წუწუნავა ცეცილია, 2) რონელი ბარბარე. 3) გამრეკელი ბარბარე, 4) ამირეჯიბი თამარ, 5) შევიშვილი ბექუჟა, 6) აბელიშვილი ანტონინა. 7) ლოლუა არეთა.

**კაცები:** გოცირიძე, 2) ქორქოლიანი ალექსანდრე, 3) მჟავია დიმიტრი, 4) ლორთქიფანიძე მიხეილი, 5) სარჩიმალიძე გიორგი, 6) ჯიქია ვიაჩესლავ.

**გასტროლებზე მოწვეულნი იქნებიან.** 1) აბაშიძე ვასო, 2) გუნია ვალერიან, 3) ჩერქეზიშვილი ელისაბედ, 4) მესხი ეფემია.

**რეჟისორებათ მოწვეულნი არიან.** ქორელი მიხეილ, ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, ახმეტელი ალექსანდრე, 4) ფაღავა აკაკი (სეზონით).

**სუფლიორები:** სანდალა, მგალობლიშვილი.

**სცენარიუსები** 1) იორდანიშვილი გიგო 2)ანთაძე ისაკ. (სეზ.)

### დრამატიული სტუდია.

ა კ ა კ ი ფ ა ღ ა ვ ა ს ხელმძღვანელობით არსებულ დ რ ა მ ა ტ ი უ ლ ს ტ უ დ ი ა შ ი მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობა განახლდება ა. წ. ოქტომბრის ორს. მისაღები გამოცდები დანიშნულია კვირა, 1 ოქტომბერს დილის 10 საათზე რუსთაველის თეატრის შენობაში. სტუდიაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს აუცილებლად ზეპირად რომელიმე იგავ-არაკი და დრამატიული ხასიათის ლექსი, ან პროზა (შეიძლება მონოლოგი და ნაწყვეტიც) თავისივე არჩევით. განცხადება მიიღება რუსთაველის თეატრის კანტორაში. მასწავლებლად მოწვეულნი არიან: თავისუფალი ხელოვანი კონსტ. დავითაშვილი (მეტყველობის ტეხნიკა და სიმღერა.) სახელმწიფო აკადემიური თეატრების მმართველი და რეჟისორი ალ. წუწუნავა (პრაქტიკული სასც. მუშაობა.) სახელმწიფო დრამის რეჟისორები: ალ. ახმეტელი (იგივე და იმპროვიზაცია და მიმოდრამა,) მიხ. ქორელი (იგივე და თეატრისა და სასცენო შემოქმედებათა ისტორია,) აკაკი ფაღავა (იგივე, ფსიქოლოგია სასცენო თეორიასა და პრაკტიკასთან დაკავშირებული, ძირითადი სასცენო ელემენტების დამუშავება) სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: დიმიტრი უზნაძე (ფსიქოლოგია.) სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე: გრიგოლ რობაქიძე (ესთეტიკა,) კოწია გამსახურდია (ლიტერატურის და დრამის ისტორია,) თავისუფალი ხელოვანი ვ ე ნ დ ო რ ო ვ ი ჩ ი-ე ღ ე ნ ტ ი ს ა (პლასტიკა და რიტმიული გიმნასტიკა,) საბალეტო სკოლის გამგე პერინი (ცეკვა) მოწვეულ იქნებიან: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ჯავახიშვილი (ქართული ხელოვნებისა და ქართული ტანისამოსის ისტორიისათვის,) სახელმწ. უნივ. პროფ. ნათიშვილი (ანატომია, ფიზოლოგია და ყელის ჰიგიენისათვის.) ცნობილი ფარიკაობის მცოდნე დიდებულიძე (ფარიკაობისათვის,) სამხატვრო-აკადემიის რექტორი პროფ. ჩუბინაშვილი (ხელოვნებათა ისტორიისათვის,) მხატვარი ილსნერი (ტანისამოსის ისტორიისათვის) რუსული დრამის მსახიობი კრუჩინინი (გრიმისათვის.)

სტუდიაში იქნება ცალკე სარეჟისორო კლასი.

რედაქტორი: **გიორგი ლეონიძე.**

# ყველა მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა 1922 წ.
# 1 სექტემბრიდან

## მატარებლების გამგზავრება — მატარებლების მისვლა

თბილისიდან უკანასკნელ სადგურამდე — თბილისში უკანასკნელ სადგურიდან

## თბილისის დროთი

### თბილისი-ბათომი-ფოთი და მისი შტოები

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | 6 | 4 | 2 | | 1 | 3 | 5 | 21 |
| 11,45 ღ. | 10,30 საღ. | 11,40 დილ. | 6,15 საღ. | თბილისი | 8,25 დილ. | 6,00 საღ. | 6,00 დილ. | 3,25 ღ. |
| 1,03 ღ. | 11,20 ღ. | 12,41 დღ. | 7,04 „ | მცხეთა | 7,43 „ | 5,07 დღ. | 5,25 „ | 2,24 „ |
| 5,50 ღ. | 1,24 ღ. | 3,4 „ | 9,04 დღ. | გორი | 5,57 „ | 2,56 „ | 3,38 „ | 10,07 საღ. |
| 9,35 დილ. | 3,18 ღ. | 5,8 „ | 10,49 საღ. | ხაშური | 4,30 ღ. | 1,16 „ | 2,15 ღ. | 6,43 „ |
| — | — | 6,15 „ | — | ბორჯომი | — | 11,55 დილ. | — | — |
| 2,18 დღ. | 6,52 დილ. | 8,59 საღ. | 2,30 ღ. | შორაპანი | 12,17 ღ. | 8,50 „ | 9,51 დღ. | 1,00 დღ. |
| — | მოდის | 12,40 დღ. | — | საჩხერე | — | 4,54 დღ. | — | — |
| — | მოდის | 11,50 ღ. | — | ქუთაისი | - | 5,30 დილ. | — | — |
| 7,36 ღ. | 9,35 დილ. | 12,32 „ | 5,21 დილ. | სამტრედია | 9,44 ღ. | 5,07 „ | 7,14 ს. | 6,25 დილ. |
| — | — | 2,13 „ | — | ახ. სენაკი | — | 2,19 ღ. | — | — |
| 1,58 ღ. | — | 3,40 „ | — | ფოთი | — | 12,44 , | — | 5,00 დილ. |
| 3,00 ღ. | 1,00 დღ. | 4,50 „ | 8,45 დილ. | ბათომი | 6,00 ს. | 12,15 „ | 3,25 ღ. | 10,00 „ |

### თბილისი-ბაქო-დერბენტი-პეტროგრადი

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | 5 | 3 | 1 | | 2 | 4 | 6 | 22 |
| 5,40 დღ. | 8,00 დილ. | 9,30 ს. | 11,00 დილ. | თბილისი | 3,00 დღ. | 7,15 დილ. | 8,25 ს. | 9,45 დილ. |
| 11,53 ღ. | 11,33 დილ. | 1,27 ღ. | 3,00 დღ. | აქსტაფა | 11,23 დილ, | 3,21 ღ. | 4,45 დღ. | 3,51 ღ. |
| 7,39 დილ. | 2,54 დღ. | 5,15 დილ. | 6,30 დღ. | ელისავეტპოლი | 7,55 დილ, | 11,32 ღ. | 1,18 დღ. | 9,37 საღ. |
| 12,00 დღ. | 5,12 დღ. | 7,50 დილ. | 8,55 დღ. | ევლახი | 5,16 დილ. | 8,40 საღ. | 10,47 დილ. | 4,50 დღ. |
| 10,23 ღ. | 10,00 დღ. | 1,23 დღ. | 1, 53 ღ. | აჯიკაბული | 11,34 ღ. | 2,28 ღ. | 6,02 დილ. | 6,45 დილ. |
| მოდის | | | | | გადის | | | |
| 4,30 ღ. | 1,50 ღ. | 5,35 დღ. | 5,45 დილ. | ბაქო | 7,15 ს. | 9,45 დილ. | 2,00 დილ. | 11,15 ღ. |
| გადის | | | | | მოდის | | | |
| 7,30 დილ. | 3,35 ღ. | 8,20 საღ. | — | ბაქო | — | 6,45 დილ. | 12,15 ღ. | 4,30 დღ. |
| 3,42 დღ. | 9,04 დილ. | 3,06 ღ. | — | ხაჩმასი | — | 12,54 ღ. | 7, ს. | 8,55 დილ. |
| 8,05 საღ. | 12,20 დღ. | 9,40 დილ. | — | დერბენდი | — | 9,50 ღ. | 4,07 დღ. | 4,10 ღ. |
| 3,15 ღ. | 6,00 საღ. | 12,35 დღ. | — | პეტროვსკი | — | 4,30 დილ. | 11,15 დილ. | 9,00 საღ. |
| 4,40 ღ. | 10,45 საღ. | 5,20 დილ. | — | როსტოვი | — | 11,00 ღ. | 6,45 დილ. | 12,10 ღ. |
| | 10,30 საღ. | — | — | მოსკოვი | — | — | 7, ს. | — |
| — | 12 დ. მოდ. | — | — | პეტროგრადი | — | — | 9, ს. | — |

### მოდის თბილისი-წნორისწყალი-თელავი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| — | — | 9 დილ. | — | თბილისი | — | 7,35 საღ. | — | — |
| — | — | 12,47 დღ. | — | საგარეჯო | — | 3,54 დღ. | — | — |
| — | — | 6,20 საღ. | — | გურჯაანი | — | 10,40 დილ. | — | — |
| — | — | 9 „ | — | წ. წყალი | — | 7,30 „ | — | — |
| — | — | 9,30 „ | — | თელავი | — | 7 „ | — | — |

### თბილისი-ერევანი-ჯულფა

| მატარებლების № № | | | | | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | | 3 | | | | 4 | | 26 |
| 12,30 დილ. | — | 8 საღ. | — | თბილისი | — | 8,10 დილ. | — | 4,00 დილ. |
| 8,15 საღ. | — | 2,35 ღამ. | — | სანაინი | — | 2,10 ღამ. | — | 9,00 საღ. |
| 12,15 ღამ. | — | 5,40 დილ. | — | კარაკლისი | — | 11,25 „ | — | 5,53 დღ. |
| 7 დილ. | — | 11 „ | — | ალექსანდროპოლი | — | 6,45 საღ. | — | 12,20 „ |
| მოდის | | | | | გადის | | | |
| 2,45 დღ. | — | 6 საღ. | — | ერევანი | — | 9 დილ. | — | 11,80 ღამ. |
| გადის | | | | | მოდის | | | |
| — | — | 3 00 დღ. | — | ერევანი | — | 1,47 დღ. | — | — |
| — | — | 11,57 ღ. | — | შახტახტი | — | 5,30 ღ. | — | — |
| — | — | 4,15 „ | — | ნახიჩევანი | — | 2,10 „ | — | — |
| — | — | 6,30 დილ. | — | ჯულფა | — | 8,00 საღ. | — | — |

### თბილისი-ბორჯომი-სურამი-ბაკურიანი

| მ. № 18 | მ. № 20 | | | | | | მ. № 19 | მ. № 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8,35 დილ. | 4,00 დღ. | — | — | თბილისი | — | — | 7,45 დილ. | 10,00 საღ. |
| 9,35 დილ. | 5,01 დღ. | — | — | მცხეთა | — | — | 6,52 დილ. | 9,11 საღ. |
| 11,27 დილ. | 7,12 საღ. | — | — | გორი | — | — | 4,45 ღ. | 7,06 საღ. |
| 1,47 დღ. | 9,00 საღ. | — | — | ხაშური | — | — | 3,15 ღ. | 5,37 დღ. |
| 3,30 დღ. | 10,15 საღ. | — | — | სურამი | — | — | 1,30 ღ. | 4,00 დღ. |
| მოდის | | | | | გადის | | | |
| 2, 55 დღ. | 10,30 ღ. | — | — | ბორჟომი | — | — | 1,15 ღ. | 3,55 დღ. |
| გადის | | | | | მოდის | | | |
| — | 7,05 დილ. | — | — | ბორჟომი-პარკი | — | — | 5,25 დღ. | — |
| — | 8,33 დილ. | — | — | წაღვერი | — | — | 4,04 დღ. | — |
| — | 10,52 დილ. | — | — | ბაკურიანი | — | — | 1,53 დღ. | — |

| მატარ. № 5 პეტროგ. | | მატარ. № 5 მოსკ. | | მატარ. № 5 რასტ. | | მატარ. № 1 | | | მატარ. № 2 | | მატარ. № 6 როსტ. | | მატარ. № 6 მოსკ. | | მატარ. № 6 პეტროგ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა | მოსვლა ან გავლა | გამოსვლა |
| — | ხუთშაბათობით | | შაბათობით | — | ორშაბათობით | — | ოთხშაბათ. და კვირ. | ბათომი | კვირაობით ხუთშაბათ. | — | ოთხშაბათობით | — | ორშაბათობით | — | შაბათობით | — |
| პარასკეობით | — | კვირაობით | — | სამშაბათობით | — | ხუთშაბათ. და ორშაბ. | — | თბილისი | შაბათობით ოთხშაბათ. | — | სამშაბათობით | — | კვირაობით | — | პარასკეობით | — |
| შაბათობით | — | ორშაბათობით | — | ოთხშაბათობით | — | პარასკეობ. სამშაბათ. | — | ბ ა ქ ო | — | პარასკეობ. სამშაბათ. | სამშაბათობით | — | კვირაობით | — | პარასკეობით | — |
| კვირაობით | — | სამშაბათობით | — | ხუთშაბათობით | — | — | — | როსტოვი | — | — | — | კვირაობით | პარასკეობით | — | ოთხშაბათობით | — |
| სამშაბათობით | — | ხუთშაბათობით | — | — | — | — | — | მოსკოვი | — | — | — | — | — | ოთხშაბათობით | ორშაბათობით | — |
| ოთხშაბათობით | — | — | — | — | — | — | — | პეტროგრად | — | — | — | — | — | — | — | კვირაობით |

**შენიშვნები:** 1. საფოსტო მატ. № 3,4 და შერეული მატარებლები № 25 და 26 მსვლელობენ თბილისს და ერევნის შორის დღეგამოშვებით: მ.მ. № № 3 და 4 გასვლა თბილისიდან და ერევნიდგან კენტ რიცხვებში. მ. № 25 გადის თბილისიდან წყვილ რიცხვებში და მატარებელი№ 26—ერევნიდან კენტ რიცხვებში.
2. მ. № 5 და 6 მარშრუტი: ბაქო, მოზდოკი, რასტოვი, ხარკოვი, კურსკი და მოსკოვი.
3. მ. №№ 1, 2, 5 და 6 დასაძინებელი ადგილებით და ვაგონ-რესტორანებით·

2—3)

ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა